



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლომინაძე ჯუმბერ გიორგის ძე



ჯ. ლომინაძე

ლომინაძე ჯუმბერ გიორგის ძე (20. IX. 1930, თბილისი, – 20. I. 2014, იქვე), ფიზიკოს-თეორეტიკოსი. საქართველო. მეცნიერ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (1988; წ.-კ. 1979), ფიზ.-მათ. მეცნი. დოქტორი (1974), პროფესორი (1982), საქართველო. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2002). დაამთავრა მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტის ფიზ. ფაკულტეტი (1955). მონაწილეობდა სსრკ-ის ბირთვულ პროგრამაში. ცხოვრობდა და მუშაობდა ე. წ. დახურულ ადმ.-ტერიტ. დასახლება ჩელიაბინსკ-70-ში (1956–58). თბილისში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა საქართველო. მეცნი. აკად. ფიზიკის ინ-ტში სწავლულ მდივნად (1958-იდან), საქართველო. მეცნი. აკად. პრეზიდიუმის მთ. სწავლული მდივნის მოადგილედ (1974–82), მათ. და ფიზ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებლად

(1982-იდან გარდაცვალებამდე). მისი ინიციატივით აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში შეიქმნა თეორ. ასტროფიზიკის განყ-ბა, რ-საც ხელმძღვანელობდა 1979–92, იყო საქართველო. მეცნი. აკად. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი (1992–2000), პლაზმური ასტროფიზიკის ცენტრის ხელმძღვანელი (2000–06), საქართველო. ცენტრ. საარჩევნო კომისიისა (1997–2003) და საქართველო. კოსმოსური სააგენტოს თავ-რე (2003–06), საქართველო. მეცნი. აკად. მ. ნოდუას გეოფიზიკის ინ-ტის კოსმოსური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი (2006-იდან).

ლ-ის შრომები ეხება პლაზმაში ციკლოტრონული ტალღების არამდგრადობისა და ტურბულენტობის თეორიას, პლაზმის ფიზიკისა და მართვადი თერმობირთვული

რეაქციების პრობლემას, პულსარების გამოსხივების მექანიზმებს, აკრეციულ მოვლენებს შავი ხვრელების სისტემებში. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა და მონოგრაფიის.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (2000).

თბზ.: Низкочастотные колебания плазмы в случае квазипоперечного распространения. „Ядерный синтез“, 1964, т.4, № 4 (თანაავტ. К. Н. Степанов); Ленгмюровская турбулентность релятивистской плазмы в сильном магнитном поле, „Журнал экспериментальной и теоретической физики“, 1979, т.77 (თანაავტ. А. Б. Михайловский, Р. З. Сагдеев); Эволюция неосесимметричных сдвиговых возмущений в аккреционных дисках компактных объектов. – Письма в „Астрономический журнал“. 1988, т.14, (თანაავტ. Г. Д. Чагелишвили, Р. Г. Чанишвили).

პ. მამრადე
